ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N6

ქ.თბილისი 15 დეკემბერი, 2017 წელი

16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
გიორგი გაბაშვილი
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
მარინა დათუკიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
თემურ გორგაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სიტყვა გადასცა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, კახა კალაძეს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა თბილისში არსებულ აქტუალურ პრობლემებზე, როგორებიცაა: მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა, საცობები, მოუწესრიგებელი პარკინგი, უსახური და ხშირად, კანონდარღვევით მიმდინარე ქაოტური მშენებლობები, სოციალური პრობლემები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ცხოველთა დაცვის კუთხით არსებული პრობლემები და სხვა მრავალი. მას და მისი გუნდის თითოეულ წევრს გათვითცნობიერებული და კარგად გააზრებული აქვს დედაქალაქის წინაშე ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც არა მარტო მხარდამჭერებმა და ამომრჩეველმა დააკისრა, არამედ რასაც შინაგანი ვალდებულება, მორალი, თბილისის და ზოგადად, ქვეყნის სიყვარული კარნახობს. კახა კალაძემ განაცხადა, რომ მან და მისმა გუნდმა, პროფესიონალებთან ერთად, დეტალურად შეისწავლეს თბილისისთვის მტკივნეული საკითხები და ყველა მიმართულებით აქვთ შემუშავებული ხედვები და აქედან გამომდინარე, მზად არიან „რევოლუციური გარდასახვები" შეიტანონ ქალაქის განვითარებაში და წინსვლაში. მისი თქმით, ქალაქის განვითარების ახალი გეგმა, რომელსაც თბილისელებმა გამოუცხადეს ნდობა, თბილისს ნამდვილად აქცევს სიცოცხლით სავსე ქალაქად. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დღეს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი შემუშავებულია თბილისელების მიერ მხარდაჭერილ პრიორიტეტებზე დაყრდნობით და ორიენტირებულია თბილისის განვითარებაზე და წინსვლაზე. მისი თქმით, ბიუჯეტის პარამეტრები ოპტიმალურად იქნა გადანაწილებული და დარწმუნებულია, რომ ვისაც თბილისისთვის სურს სიკეთე, მხარს დაუჭერს წარმოდგენილ პროექტს, რადგან „ეს არის ის ბიუჯეტი, რომელიც ჩვენ ქალაქს განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს". კახა კალაძემ აღნიშნა, რომ როგორც თავად, ასევე, მისი გუნდი, ითანამშრომლებს ნებისმიერ პირთან, ვისაც ქალაქის პრობლემები აწუხებს და განაცხადა, რომ ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას წლების განმავლობაში არსებული მახინჯი პოლიტიკური ტენდენციები, როდესაც ადამიანების დაყოფა ხდებოდა პარტიული და პოლიტიკური ნიშნით. მისთვის მისაღებია ნებისმიერი სახის თანამშრომლობა და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „იფიქრეთ არა პოლიტიკური ქულების დაწერაზე თქვენივე მომხრეების თვალში, არამედ თბილისისთვის სასიკეთო საქმეებზე... მე ძალიან კარგად მესმის, რომ თქვენ, სიცოცხლით სავსე ქალაქზე საუბარი არ გსიამოვნებთ... ჩემო მეგობრებო, კი არ უნდა გწყინდეთ და გაბრაზებდეთ ეს, თუ მართლა გაღელვებთ თბილისის ბედი, არამედ უნდა ითხოვდეთ ამ ჩანაფიქრის რეალიზებას და მასში მონაწილეობას... დღეს დედაქალაქი ისეთ მდგომარეობაშია, საქმე მართლაც ყველას ეყოფა, ვინმე კარებს რომ გიკეტავდეთ, ფანჯრებიდან უნდა შედიოდეთ". კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მისი და მისი გუნდის წინაშე დგას ურთულესი ამოცანა, რაშიც იგულისხმება ის, რომ აქვს ორი გზა: პირველი - კვლავ გარდამავალი პერიოდის ფორმატში, მოსახლეობისთვის ეპიზოდური, სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტა და მეორე - ძირეული ცვლილებების ფონზე, დასაბამი მიეცეს დედაქალაქში წესრიგის დამყარებას და განაცხადა - „ჩვენ ვირჩევთ მეორე გზას". მისი თქმით, ყველა პრობლემის გადაწყვეტა იწყება განწყობიდან და მიმართა დამსწრე საზოგადოებას „ჩვენ, პირველ რიგში, უნდა შევძლოთ და ვირწმუნოთ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების, გამოვიმუშაოთ რწმენა, რომ ყველაფერს შევძლებთ, დავძლევთ ყველა გამოწვევას, რომ ეს ქალაქი აუცილებლად იქნება შესაძლებლობებით, ენერგიით, თანაგრძნობით, სიკეთით, სიყვარულით და სიცოცხლით სავსე ქალაქი". საუბრის ბოლოს, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტზე დეტალურად ისაუბრებს და საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე
თანამომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის N13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.01.002.007.01.015 და N01.18.01.002.007.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3642 კვ.მ. (ნაკვეთი 05/058) (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.058) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 2240 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.30.011.002) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირს - თენგიზ ჩადუნელს (პ/ნ.: 01006018902) (უფლებამონაცვლე: შპს „ეს-ემ-ი ჯგუფი“ ს/ნ.: 405187471)) შორის 2017 წლის 25 იანვარს გაფორმებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის Nე-339-1-20540 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, 2017 წლის 25 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ეს-ემ-ი ჯგუფის“ (ს/ნ.: 405187471) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „კონსალტინგ გრუპის“ (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 47

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 861000000 ლარს, რაც 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტზე 60000000 ლარით მეტია. აღსანიშნავია, რომ თბილისის 2017 წლის ბიუჯეტი იზრდება 14000000 ლარით იმ მიზნით, რომ 2018 წელს განხორციელდეს მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია და ახალი შემადგენლობის შეძენა. შესაბამისად, ამ თანხის გათვალისწინებით, თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 875000000 ლარს. გარდა ამისა, თბილისის 2017 წლის საბიუჯეტო ეკონომიის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, 8000000 ლარი მიმართული იქნება სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალში, რომელიც ასევე მოხმარდება მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციას და ახალი შემადგენლობის შეძენას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იქნება 883000000 ლარი. ირაკლი ხმალაძემ დეტალურად, ციფრების მითითებით, ისაუბრა 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, მათ შორის, გრანტების და ტრანსფერების ოდენობაზე და სხვა შემოსავლებზე, საბიუჯეტო ხარჯვით ნაწილზე, რომელიც მოიცავს: სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს, კეთილმოწყობის, გამწვანების და დასუფთავების ღონისძიებებს, ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციას და ეზოების კეთილმოწყობას, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სოციალურ და ჯანდაცვის ხარჯებს, სხვადასხვა კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებას, ადმინისტრაციულ ხარჯებს და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას. ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი ოპტიმალურია და არსებული რესურსის ფარგლებში, მაქსიმალურად არის გაწერილი წინასაარჩევნოდ გაცხადებული და მოსახლეობისთვის დაპირებული პროგრამების და ღონისძიებების განხორციელება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის ათივე რაიონში, უფასო სასადილოებით მომსახურებაზე, უკვე გამოცხადებულია ტენდერები, სადაც ყველაზე მაღალი ფასი არის 1.18 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და გამგეობებმა გადაწყვიტეს, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გამოსაკვებად ეს თანხა იმდენად მაღალია, რომ იძლევა კონკურენციის

საშუალებას და შესაძლებელია მოხდეს კლებაც. მისი თქმით, გლდანის რაიონში, ერთ-ერთმა კომპანიამ ფასი აჩვენა - 1.13 ლარი, რომელიც კარგია რომ შემდგომ დისკვალიფიცირებული იქნა, თუმცა აღსანიშნავია, რომ კომპანიის დისკვალიფიკაცია გამოიწვია არა დაბალმა ფასმა, არამედ სხვა მიზეზებმა და მიმართა ქალაქის მერს, რამდენად ადეკვატურად და ლოგიკურად მიაჩნია, თუნდაც 1.18 თეთრი ერთი ადამიანის გამოსაკვებად, იმის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თანხას კიდევ გამოაკლდება მომსახურე პერსონალის ანაზღაურება, კომუნალური გადასახადები, იჯარის ან ქირის გადასახადი. ლევან ხაბეიშვილმა აქვე აღნიშნა, რომ ბაღების სააგენტოს, საბავშო ბაღებში ერთი ბავშვის გამოსაკვებად მოთხოვნილი აქვს 3.60 მაშინ, როდესაც წელიწადნახევრის წინ, იგივე კალორაჟით ერთი ბავშვის გამოსაკვებად გათვალისწინებული იყო 1.80 ლარი და განაცხადა, რომ გასაგებია გაორმაგებული თანხა მოთხოვნილია პროდუქტებზე ფასების ზრდის გამო, თუმცა, გაუგებარია და მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე - ბავშვების გამოსაკვებად შესაძენი პროდუქტი გაძვირდა და სოციალურად დაუცველებისთვის შესაძენი არა? ანუ შაქარს, წიწბურას, ხორცს და სხვა პროდუქტებს ბავშვებისთვის ყიდვის შემთხვევაში სხვა ფასი აქვს და სოციალურად დაუცველებისთვის სხვა? ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ ივნისში შეიქმნა კომისია, რომელმაც გადაწყვიტა თუ როგორი უნდა ყოფილიყო საახალწლო განათება, თუმცა არ გამოცხადდა ტენდერი და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გაფორმდა ხელშეკრულება მილანურ კომპანიასთან იმ არგუმენტით, რომ „ლონდონი გაანათა ამ კომპანიამ"და კითხვით მიმართა კახა კალაძეს - რატომ არ ჩატარდა ტენდერი და რატომ არის არგუმენტი ის, რომ ამ კომპანიამ გაანათა ლონდონი, პრაღა ცუდად იყო განათებული, ან ბუდაპეშტი, ან თუნდაც იგივე მილანი?

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ამაყია იმით, რომ მონაწილეობას იღებს იმ ბიუჯეტის დამტკიცებაში, რომელიც მიმართულია ქალაქის განვითარებაზე და ხვალინდელ დღეზე, ორიენტირებულია ქალაქში ახალი შესაძლებლობების გაჩენაზე. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის თბილისის მთავრობაც და საკრებულოს უმრავლესობაც პირნათელია ამომრჩევლის წინაშე, რადგან ბიუჯეტი ასახავს ყველა იმ პრიორიტეტს, რომელსაც მხარი დაუჭირა თბილისის მოსახლეობამ და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „როდესაც საუბრობთ, რომ კახა კალაძემ და თბილისის მთავრობამ არ გაითვალისწინა თქვენი შენიშვნები ბიუჯეტთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ადრესატი გეშლებათ იმიტომ, რომ თქვენი მოსაზრებები თბილისის ამომრჩეველმა არ გაითვალისწინა". აღნიშნა, რომ ბიუჯეტით წარმოდგენილი პროექტები უზრუნველყოფს, რომ უფასო სასადილოების ბენეფიციარებს და მომლოდინეებს, პენსიონერებს, სტუდენტებს სულ მალე აღარ დაჭირდეთ სხვადასხვა სოციალური სერვისების მიწოდება. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებს აშინებთ თბილისის გადაქცევა სიცოცხლით სავსე ქალაქად, კახა კალაძის და დღევანდელი მთავრობის წარმატებები, რადგან ეს მათ პოლიტიკურ მომავალს სულ უფრო ბუნდოვანს ხდის. რევაზ სოხაძემ აქვე, აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და დაინტერესდა თუ რა სიკეთეს და შედეგს მოუტანს ქალაქს ეს პროექტები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტში სამშენებლო კოეფიციენტის ზრდით მიღებულ შემოსავალში გათვალისწინებულია 10000000 ლარი, რაც ფაქტობრივად, წინა წლებში არსებული შემოსავლის იდენტურია, რაც ნიშნავს იმას, რომ თბილისის არა მხოლოდ ისტორიულ ზონაში, არამედ მის გარეთაც უნდა ველოდეთ „დიდი მონსტრების ბეტონიზაციას და მრავალსართულიანი სახლების მშენებლობას." მართალია ქალაქის მმართველობა ამბობს, რომ პროცესზე გამოცხადებულია მორატორიუმი, თუმცა რეალობა არის სხვა - „ჩვენ ვხედავთ დამტკიცებულ პროექტებს, რომლებიც დღესაც მიმდინარეობს და ეს არის ძალიან დიდი, შეუსაბამო მშენებლობა". ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ „ასეთი პრაქტიკა სიცოცხლით სავსე ქალაქს ვერ მოგვცემს" და დაინტერესდა, რატომ არ მცირდება და ნულდება კოეფიციენტების გაყიდვის პროცესი. მისი თქმით, გაუგებარი და საინტერესოა, თუ რატომ

მოხდა ავარიული კორპუსების გამაგრებისთვის გათვალისწინებული დაფინანსების მნიშვნელოვანი კლება იმ ფონზე, რომ ამ კუთხით კატასტროფული მდგომარეობაა. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ასევე, ისაუბრა ისტორიულ ზონაში ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ხელშეკრულების გაფორების პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ ამგვარი პრაქტიკა დიდ ბიუჯეტს ხარჯავს ნაკლებად ეფექტურად, სპობს კონკურენტულ გარემოს და ფაქტობრივად იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოში არ არის ლიცენზირების პრაქტიკა, „ჩინოვნიკების ასარჩევს ხდის სარესტავრაციო კომპანიებს, რომლებიც რიცხობრივად შეზღუდულია". ეს კი, გარდა იმისა, რომ შესრულების ხარისხი კონკურენციის გარეშე პირობებში არ არის მისასალმებელი, იწვევს საქართველოს სარესტავრაციო სკოლის ნგრევას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ განაცხადა" „თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს თამამად შემიძლია ვუწოდო უპრეცედენტო და ის უდაოდ იმსახურებს და საჭიროებს ჩვენს მხადაჭერას". მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ვერ იქცნენ კონსტრუქციულ ოპოზიციურ ძალად და დარჩნენ პოლიტიკურად ანგარიჟებულ პოპულისტებად, რომლებიც ამ თემასაც იყენებენ შოუს მოსაწყობად და არ აინტერესებთ მისი რეალური მნიშვნელობა. ისინი ვერაფრით ეგუებიან, რომ მოსახლეობა მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას" და არ აინტერესებთ რატომ. რამინა ბერაძის თქმით, მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერა გამოწვეულია იმით, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ასრულებენ დაპირებებს, ზრუნავენ ხალხზე და მათი მთავარი ამოცანაა „ადამიანი და მისი კეთილდღეობა" და სწორედ ამ პრიორიტეტებით არის წარმოდგენილი თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი. განაცხადა, რომ უპირველეს ყოვლისა, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კახა კალაძემ მოახერხა და ბიუჯეტი პირველივე წელს გაიზარდა 60000000 ლარით და დამატებული თანხა გადანაწილებულია იმ პროექტების განხორციელებაზე, რომლებმაც დაიმსახურა საზოგადოების მხარდაჭერა და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „ბიუჯეტი არის ჩვენი, თქვენი, ყველა ჩვენგანის, დედაქალაქის და ჩვენ ერთხმად უნდა ვუჭერდეთ მხარს". რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგებობისთვის და ავარიული სახლების აღდგენისთვის გაზრდილია დაფინანსება და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეებსა და მშენებლებს შორის, გარიგების არსებობის რისკის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია ამ თანხის გახარჯვა მოხდეს ელექტრონული ტენდერების საშუალებით და დაინტერესდა, თუ რას ფიქრობს კახა კალაძე ამ მოსაზრებაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, იმ ფონზე, როდესაც დღეს კატასტროფულად გაზრდილია ფასები ჯანდაცვაზე, პირველადი მოხმარების მედიკამენტებზე და სურსათზე, ხოლო ენერგომატარებლებზე ფასების განახევრების ნაცვლად, რასაც პირდებოდა „ქართული ოცნება" ამომრჩეველს, პირიქით, მოსალოდნელია ფასების ზრდა, რამდენად ადეკვატურად მიაჩნია კახა კალაძეს 2018 წლის ბიუჯეტში სოციალური ხარჯის შემცირება 2800000 ლარით. ასევე, დაინტერესდა, იმ ფონზე, როდესაც საახალწლო განათებებზე გაფორმდა სამ მილიონიანი ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, გამგეობების მიერ გამოცხადებულია ნახევარ მილიონიანი ტენდერი საახალწლო ნობათის შესყიდვაზე, რომლის ჩამონათვალი სამარცხვინოა, რადგან მითითებულია „ერთი ცალი ტუშონკა" და კიდევ უფრო სამარცხვინოა ის, რომ 15000 ბენეფიციარი რჩება საახალწლო ნობათის გარეშე, რას ფიქრობს ქალაქის მერი იმაზე, რომ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საახალწლო სუფრაზე ექნება „ერთი ცალი ტუშონკა". ლილე ლიპარტელიანს, კახა კალაძის სპორტული კარიერა აფიქრებინებდა, რომ ის იქნებოდა ამ მიმართულების განვითარების „ლობი", თუმცა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით სპორტის მიმართულებით წარმოდგენილია ხარჯების შემცირება 3635900 ლარით და დაინტერესდა, რას ფიქრობს იგი აღნიშნულთან დაკავშირებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობა მზად არის ითანმშრომლოს ოპოზიციასთან,

თუმცა, მათი მხრიდან ადგილი აქვს არა საქმეზე ორიენტირებულ, არამედ „შოუს ელემენტების“ შემცველ გამოსვლებს. მან აღნიშნა, რომ წინასაარჩევნოდ წარმოდგენილი იყო ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი რადიოქარხნის სახით, რომელზეც ჩვენი მოქალაქეები ამყარებენ დიდ იმედს და დაინტერესდა, რა ეტაპზეა პროექტი და დასახულია თუ არა მისი განხორციელების ეტაპები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მარინა დათუკიშვილი დაინტერესდა, წაიკითხა თუ არა კახა კალაძემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის წერილი, რომელშიც 2018 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით იყო კონკრეტული შეთავაზებები. დასმულ კითხვაზე პასუხად უარის მიღების შემდეგ, მიმართა მას „როდესაც აპელირებთ კონსტრუქციულობაზე, ამ ყველაფერში მინიმალური კონსტრუქციულობაც კი არ იკვეთება, ძალიან ცუდია ის, რომ სიტყვები რჩება სიტყვებად და საქმით სულ სხვას ამტკიცებთ“. მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, 2013 წლამდე თბილისის თვითმმართველობის ინფრასტრუქტურას იცავდა დაცვის პოლიცია, ხოლო შემდგომ, ჯერ კიდევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგნლების თვითმმართველობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, შეიქმნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახური, რომელსაც დღეს ჰყავს „ოთხასკაციანი ბატალიონი“ და მას ხელმძღვნელობს „ჰომოფობი, ქსენოფობი და მრავალი უარყოფითი თვისებებით გაჯერებული“ ადამიანი. იმ ფონზე, როდესაც კახა კალაძე წინასაარჩევნო დაპირებებში აქტიურად საუბრობდა ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებაზე, თვლის თუ არა დღეს, რომ ეს სამსახური, ამხელა ბიუჯეტით და არანორმალური შრომითი ანაზღაურებით, უნდა იყოს თბილისის თვითმმართველობაში და თუ ფიქრობს, რომ თბილისის ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების დაცვა დაევალოს ისევ დაცვის პოლიციას. მარინა დათუკიშვილის თქმით, წარმოუდგენლად მაღალია ანაზღაურება მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში, კერძოდ, 8000 ლარი და ამ სამსახურმა გასული წლის განმავლობაში „თავი გამოიჩინა მხოლოდ იმით, რომ დანა-ჩანგლის ხმარების წესები ასწავლა მერიასა და გამგეობებში დასაქმებულ თანამშრომლებს“ და დაინტერესდა, რატომ უნდა ჰქონდეთ ამხელა ანაზღაურება აღნიშნულ სააგენტოში დასაქმებულ პირებს, ქალაქის მერი რატომ არ ამბობს უარს ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებაზე. მარინა დათუკიშვილი ასევე დაინტერესდა, თვლის თუ არა ქალაქის მერი, რომ პენსიონერები იმსახურებენ ჰქონდეთ 200 ლარიანი წამლის ვაუჩერი, რათა მათი ჯანმრთელობა მინიმალურ დონეზე მაინც იყოს უზრუნველყოფილი და სტუდენტებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის ნაცვლად, იყოს უფასო.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ მიმართა მარინა დათუკიშვილს, რომ როდესაც საუბრობს 200 ლარიან წამლის ვაუჩერზე, უნდა გაითვალისწინოს, რომ სხვა სოციალური დახმარების მუხლი მიმართულია სწორედ იმ მოსახლეობის დახმარებისკენ, რომელსაც ესაჭიროება არა მარტო მედიკამენტები, არამედ ოპერაცია და მკურნალობა და არათუ 200 ლარს, არამედ გაცილებით მეტ თანხას მიიღებენ შესაბამისი საჭიროების მქონე პენსიონერები. გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტში გაზრდილია დაფინანსება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციისთვის და დაინტერესდა, რამდენად დაკმაყოფილდება სრულად, ამ კუთხით თბილისში დღეს არსებული მოთხოვნა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში არსებული მწვავე სოციალური და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გარდა, თბილისში მწვავედ დგას საცობების და პარკირების საკითხი და განაცხადა, რომ კახა კალაძის წინასაარჩევნო დაპირებებიდან, პრიორიტეტულ საკითხებს შორის გამოცხადებული იყო სწორედ ინფრასტრუქტურული და საგზაო მიმართულებები, თუმცა თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში „ამ სიუხვეს, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ“. იმ, ფონზე, რომ მრავალი წელია შეჩერებულია შემოვლითი რკინიგზის პროექტი, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვნად განტვირთავდა ქალაქში არსებულ საცობებს, რომ აღარაფერი ითქვას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე

და დასაქმების ხელშეწყობაზე, ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ცინცაძე-კარტოზიას ესტაკადა, რომელიც დავით ნარმანიასაც ედო საარჩევნო პროგრამაში „ერთად ვიზრუნოთ თბილისზე", გამოცხადებული იყო ტენდერიც და გამარჯვებულ კომპანიაზე ავანსიც იყო გაცემული, თუმცა ტენდერი შეჩერდა იმ მიზეზით, რომ ეს მიწები, რომელზეც მუნიციპალიტეტი აპირებდა გზის გაყვანას, ეკუთვნოდა ბიძინა ივანიშვილს და აქედან გამომდინარე, საკითხის გარკვევამდე, პროექტი ვერ გაგრძელდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რადგან 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსება, მოხდა თუ არა ბიძინა ივანიშვილთან მოლაპარაკება და მზად არის თუ არა იგი, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის თანახმად, უსასყიდლოდ დათმოს ეს მიწები თუ მუნიციპალიტეტი აპირებს ამ მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ რაიმე კონკრეტული ქონების გადაცემას ერთ ლარად. ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული არ არის თანხა მრავალსართულიანი ავტოსადგომების მშენებლობისთვის და დაინტერესდა რა არის დაგეგმილი პარკირების გაუმჯობესებისთვის. ასევე, საინტერესოა, რატომ არის ბიუჯეტში ასახული კომპანიისგან „ct-park" მისაღები შემოსავალი იგივე ოდენობით, რაც იყო წინა წლებში მაშინ, როდესაც იყო დაპირება, რომ ეს კომპანია გავიდოდა და ოპერირებას გაწევდა მერია. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ადამიანების საუკეთესო დახმარება არის მათი დასაქმება და როდესაც დასაქმება და ეკონომიკური განვითარება გამოცხადებულია ერთ-ერთ პრიორიტეტად, დაინტერესდა, რამდენად ადეკვატური და საკმარისია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული 0.34% და როგორ აპირებენ ამ თანხით ბიზნესის ხელშეწყობას ერთი, 50000 ლარიანი, ბიზნეს-ტრენინგით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები" თავმჯდომარე დავით უთმელიძე კომპანიასთან „ct-park" დაკავშირებით დაინტერესდა, თუ იურიდიულად პროცედურა არ დასრულებულა და დაწყებული არ არის დავა, კანონის ფარგლებში, რამდენად შესაძლებელია ბიუჯეტში არ აისახოს ის თანხა, რასაც ითვალისწინებს შემოსავლის ნაწილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ელენე ოზაშვილმა განაცხადა, რომ არსებული უმუშევრობის მაღალი დონის და ეკონომოკის განვითარების დაბალი დონის ფონზე, ბიუჯეტში ამ მიმართულებით გათვალისწინებული 1400000 ლარი არის „დაცინვა". მისი თქმით, ფრაქციას ჰქონდა შეთავაზება ქონების გადასახადის 10%-ით შემცირება, რაც გამოიწვევდა დამატებითი ადგილების შექმნას და ბიზნესისთვის მეტი თანხის დატოვებას და დაინტერესდა, არის თუ არა ზევით აღნიშნული თანხა წყალში გადაყრილი და რატომ არ იქნა გათვალისწინებული ფრაქციის ინიციატივა. ელენე ოზაშვილმა ასევე, აღნიშნა, რომ ბაგა-ბაღების სიმცირე იწვევს აღსაზრდელების დატოვებას რეგისტრაციის გარეშე და დაინტერესდა, აპირებს თუ არა თბილისის მთავრობა 2018 წლის სექტემბერში მაინც გაითვალისწინოს ფრაქციის ინიციატივა ვაუჩერიზაციის სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც მშობელს მისცემს საშუალებას, ბავშვი მიიყვანოს როგორც მუნიციპალურ, ასევე კერძო ბაგა-ბაღში, რაც თავისთავად, ხელს შეუწყობს კერძო ბაღების განვითარებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ კომისია დადებითად აფასებს თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს და განაცხადა, რომ სიცრუეა განცხადება, თითქოს სპორტის მიმართულებით მცირდება დაფინანსება. მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა სახის ახალგაზრდული და კულტურული აქტივობები და დაინტერესდა როდის იქნება ცნობილი აღნიშნული ცენტრების ლოკაციები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ სამუშაო ადგილების შექმნა არ შეიძლება განისაზღვროს ბიუჯეტის მხოლოდ ერთი მუხლით, რადგან ბიუჯეტით გათვალისწინებული

ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი, კულტურული აქტივობის ზრდა, შემოქმედებითი ინდუსტრიის ხელშეწყობა და სპორტის თუ ნებისმიერი სხვა მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები გათვლილია გრძელვადიან ეფექტზე და ემსახურება დედაქალაქში ტურიზმის თუ სხვა მიმართულებით ატმოსფეროს შეცვლას და გაუმჯობესებას. თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია მუზეუმების და სახელოვნებო სკოლების რეაბილიტაცია, ათი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა და ახალგაზრდული, მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა და დაინტერესდა, კონკრეტულად რა ახალი აქტივობებია გათვალისწინებული იმისთვის, რომ დედაქალაქში, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კუთხით, იგრძნობოდეს პროგრესი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ერეკლე კუხიანიძის თქმით, გარემოს დაცვის მიმართულებით დაფინანსების ზრდა მისასალმებელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ დიდი ლილოს მიმდებარედ არსებული ე.წ. ნაგავსაყრელი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რის გამოც მავნე ზემოქმედებას ახდენს გარემოზე და იქ არსებული მძიმე მდგომარეობა, დედაქალაქის ხელისუფლების მხრიდან, საჭიროებს სათანადო ოპერატიულ რეაგირებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას და დაინტერესდა, ქალაქის მთავრობამ, განსაკუთრებით კი, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა, რა სახის სამოქმედო სტრატეგია შეიძლება შეიმუშავოს და მის ფარგლებშიც, უმოკლეს ვადაში, განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები, რათა შემცირდეს ლილოს პოლიგონის ფუნქციონირებით გარემოზე მავნე ზემოქმედება და დაცული იქნას ჩვენი მოსახლეობის ჯანსაღ გარემოში ცხოვრების პირობები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ, კეთილმოწყობის სამსახურთან ერთად, დეტალურად შეისწავლა თბილისში სამისამართე აბრებთან დაკავშირებით დღეს არსებული მდგომარეობა. მისი თქმით, თბილისში, 2016-2017 წლებში, გაიკრა უპრეცედენტო რაოდენობის სამისამართე აბრები, აღნიშნა, რომ 2018 წელსაც გაგრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით და დაინტერესდა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება თუ არა, წლის განმავლობაში ტენდერების ეკონომიებით მობილიზებული თანხების მიმართვა ამ მიმართულებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილმა მიმართა კახა კალაძეს „არაფერი დრამატული არ ხდება იმით, რომ თქვენ მობრძანდით საკრებულოში და ჩვენ გვაქვს დისკუსია და კარგია, რომ დღეს გვაქვს საშუალება დაგისვათ შეკითხვები“. მან აღნიშნა, პენსიონერებისთვის საპენსიო დანამატის ზრდა 50 ლარის ოდენობით იყო არა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში, არამედ „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო პროგრამაში, თუმცა თუ ქალაქის მერის მოწოდება არის, რომ „ყველას გვინდოდეს სიცოცხლით სავსე ქალაქი“, ასევეა „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლების მოწოდება „ყველას გვინდოდეს უფრო მეტად დაცული პენსიონერი“. გიორგი გაბაშვილის თქმით, საუბარია არა ვინმეს საარჩევნო პროგრამაზე, არამედ პენსიონერების ინტერესზე და პასუხი, რომ ეს საკითხი უნდა მოგვარდეს არა მუნიციპალიტეტის, არამედ ცენტრალური მთავრობის მიერ, რომლის გეგმაშიც ეს არ არის და 2018 წელი იქნება კიდევ ერთი წელი, როდესაც პენსია არ გაიზრდება და დაინტერესდა, იმის გათვალისწინებით, რომ სურსათზე და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასები გაზრდილია 10%-დან 25%-მდე, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო მის წინასაარჩევნო პროგრამაში, კახა კალაძეს ხომ არ შეუცვლია მოსაზრება, რომ პენსიონერებს, შესაძლებლობის ფარგლებში, მიეცეთ მუნიციპალური დანამატი. გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ დაახლოებით 3000000 ლარი სჭირდება იმას, რომ უფასო სასადილოებს არ ჰქონდეს მომლოდინეების რიგი და გამომდინარე იქიდან, რომ საუბარი იყო საქმიან წინადადებებზე და კრიტიკაზე, წინადადებით მიმართა დედაქალაქის მერს, ხომ არ ფიქრობს გაითვალისწინოს აღნიშნული, რათა უფასო სასადილოებში, ამ ეტაპზე მაინც, აღარ იყოს მომლოდინეების რიგი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ჯაბა ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ მის სამაჟორიტარო ოლქში არიან როგორც დევნილი, ასევე სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობენ ამა თუ იმ მისამართზე, თუმცა ეს შენობა-ნაგებობები არის თვითმმართველის საკუთრებაში, რის გამოც ვერ შეჰყავთ ბუნებრივი აირი და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ამ მიმართულებით რაიმე ღონისძიებების გატარება, კერძოდ, ამ ადამიანებისთვის მათი საცხოვრებელი ფართების გადაცემა საკუთრებაში ან დაკანონების საკითხის მოგვარებამდე, ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოსთან შუამდგომლობა, რომ ზამთრის პირობებში მაინც, მიეცეთ ბუნებრივი აირის შეყვანის უფლება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა და მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) უპასუხეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს:

კახა კალაძემ კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ მზად არის თანამშრომლობისთვის, თუმცა, მისი თქმით, თანამშრომლობა არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები მუდმივად ავრცელებდნენ სიცრუეს, მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ხედვები და პროექტები, თუ რა შეიძლება განხორციელდეს. განაცხადა, რომ „მერიის კარი არის ღია ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც აქვს კონკრეტული გეგმა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს დედაქალაქისთვის“ და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „თუ გექნებათ კონკრეტული ხედვები ქალაქთან დაკავშირებით, მზად ვარ შევხვდეთ, განვიხილოთ და ერთად განვახორციელოთ ეს პროექტები ქალაქის საკეთილდღეოდ“. მისი თქმით, უფასო სასადილოების მიმართულებით დაფინანსება გაზრდილია დაახლოებით ნახევარი მილიონით, თუმცა კითხვაზე დღეს გამოყოფილი თანხები საკმარისია თუ არა, პასუხია, რომ რა თქმა უნდა, არც ერთი მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსება, თუნდაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის, არ არის საკმარისი, მაგრამ ბიუჯეტის პროექტი დაგეგმილია იმის მიხედვით, რა შესაძლებლობაც გააჩნია ქვეყანას. კახა კალაძემ საბავშვო ბაღებში და უფასო სასადიელოებში კვებისთვის გამოყოფილი თანხების განსხვავებაზე აღნიშნა, რომ ბაღებში არის ოთხჯერადი კვება, ხოლო უფასო სასადილოებში - ერთჯერადი. საახალწლო განათებაზე აღნიშნა, რომ შესყიდვა არ მომხდარა მილანური კომპანიისგან, თუმცა ასეც რომ იყოს, ვერ ხედავს ვერანაირ პრობლემას, რადგან ჩვენს ქვეყანას, პირველ რიგში, სჭირდება ბევრი ევროპული კომპანია იმისთვის, რომ გაზიარებული იქნას მათი გამოცდილება და, რაც მთავარია, დედაქალაქის მოსახლეობას მოსწონს, თუ როგორ არის მორთული თბილისი. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ბაზარზე კერძო ბაღების გაჩენის შემოთავაზება საინტერესოა, შესაძლებელია ამ საკითხზე მუშაობა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება. ქალაქში არსებულ ისტორიული ძეგლებზე და შენობა-ნაგებობებზე განაცხადა, რომ არის ის სიმდიდრე და საგანძური, რომლითაც თითოეული ჩვენგანი ამაყობს და გაიზიარა ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მოსაზრება, რომ სჭირდება გაფრთხილება და მოვლა-პატრონობა. რაც შეეხება კონკურენციას, მისაღებია გამოთქმული მოსაზრება, მაგრამ იყო საუბარი, რომ ფასების დაწევა ხდებოდა მიზანმიმართულად და კონკრეტული კომპანია, რომელიც იწყებდა სამუშაოებს, აზიანებდა შენობა-ნაგებობას, რის შემდეგაც ჩერდებოდა პროცესი, თუმცა საკითხი ნამდვილად მოითხოვს შესწავლას. კახა კალაძემ უპასუხა შეკითხვას, თუ რა სიკეთეს მოუტანს ქალაქს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და აღნიშნა, რომ მათი განხორციელება მნიშვნელოვანია არა მარტო ქალაქის კეთილმოწყობისთვის, არამედ შეიქმნება სამუშაო ადგილები და დასაქმდება ბევრი ადამიანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ თბილისის ერთი თვეა ჰყავს მერი, რომელმაც ამ პერიოდში სამოცი მილიონით გაზარდა თბილისის ბიუჯეტი, რაც, რა თქმა უნდა, ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის არის მტკივნეული, ისინი ამას ვერ შეეგუებიან და ყველანაირი მეთოდით ეცდებიან ეს საკითხი განიხილონ უარყოფით კონტექსტში, მაგრამ არ გამოუვათ, რადგან ამის შემფასებლები არ არიან ოპოზიციის და არც უმრავლესობის წარმომადგენლები, შემფასებელი არის თბილისის მოსახლეობა.

ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ არასწორია ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს უფასო სასადილოებში კვებისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 1.13 ლარს, რადგან ეს ფასი მუნიციპალიტეტს არ დაუდგენია, ყველამ კარგად იცის ტენდერის პროცედურა და მიზნები - დგება კონკრეტული მოთხოვნა, რაზეც სხვადასხვა კომპანიები აკეთებენ მათთვის მისაღები ფასის შეთავაზებას. ასევე, არასწორია ინფორმაცია, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში ვინმეს შრომითი ანაზღაურება შეადგენს 8000 ლარს, რადგან ეს არის ტრენერების მიერ ტრენინგის სრული კურსის ჩატარების შედეგად მიღებული საათობრივი ანაზღაურება და არა დადგენილი თანამდებობრივი სარგო, რომელსაც ყოველთვიურად იღებენ ხელფასის სახით. უპასუხა შეკითხვას, თუ რატომ არის ბიუჯეტში ასახული კ-2 კოეფიციენტის გაზრდიდან მიღებული შემოსავალი და განმარტა, რომ წარმოდგენილია წინა წლებში გაყიდული კოეფიციენტებიდან გადავადებული გადასახადები და გარდა ამისა, კოეფიციენტის გაყიდვა შეზღუდულია არა მთელი თბილისის მასშტაბით, არამედ მხოლოდ ცენტრალურ უბნებში და შესაბამისად, ამ მიმართულებით გარკვეული შემოსავალის პროგნოზირება მოხდება მომდევნო წლის ბიუჯეტშიც. ამხანაგობების თანადაფინანსებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მოდელი დასახვეწია, ამ მიმართულებით სამუშაოები მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში წარმოდგენილი იქნება სქემა, თუ როგორ მოხდება ამ ბიუჯეტის უფრო ეფექტურად გამოყენება. კომუნალური ვაუჩერთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ დაფინანსება შემცირებული არ არის და იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წელს არსებული დაფინანსების ათვისება ვერ მოხდა, 2018 წლის გეგმარება მოხდა წინა წლის ფაქტობრივი მოხმარებიდან გამომდინარე. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა საახალწლო ნობათზე და დააფიქსირა მოსაზრება, რომ „ეს არის საახალწლო საჩუქარი", რომელშიც არის რამდენიმე სახეობის პროდუქტის ჩამონათვალი და არა მხოლოდ „ერთი ცალი ტუშონკა" და უხერხულია ასეთი კონტექსტით ინტერპრეტაცია. რადიოქარხანასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიმდინარეობს კონცეფციაზე მუშაობა, თუ როგორი ეკონომიკური მოდელით უნდა განხორციელდეს, რისთვისაც მომდევნო წლების განმავლობაში, უნდა მოხდეს დიდი ინვესტიციის მოზიდვა და სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში შესაძლებელი იქნება კონკრეტული მოდელის შემუშავება და ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება. შეკითხვაზე, სრულად დაკმაყოფილდება თუ არა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კუთხით არსებული მოთხოვნა, უპასუხა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდენილი დაფინანსება გათვალისწინებულია ყველა ბენეფიციარის დაკმაყოფილებაზე. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა შემოვლით რკინიგზაზე და აღნიშნა, რომ არასწორად დაწყებული და შესრულებული სამუშაო ამ პროექტის ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან დაიგეგმა სათანადო ტექნიკური და ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. თუმცა, რკინიგზის გადატანა გეგმაშია და მიმდინარეობს სხვა ალტერნატიული მარშრუტის განხილვა. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში პარკირებასთან დაკავშირებით თანხის არ არსებობაზე განმარტა, რომ ეს არის საინვესტიციო პროექტები, რომლებზეც, ეკონომიკური ანალიზის შემდეგ მოხდება ინტერესთა გამოხატვის გამოცხადება და კერძო ინვესტიციით განხორციელება. ხოლო კომპანიისგან „ct-park" მისაღები შემოსავალი ბიუჯეტში ასახულია იმიტომ, რომ ეს არის სამართლებრივი პროცესი - ხელშეკრულება ჯერ არ არის გაუქმებული და შესაბამისად, ბიუჯეტში შემოსავლების გადაწყობა არასწორია. ირაკლი ხმალაძემ, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით არსებული თანხის ოდენობაზე განაცხადა, რომ თბილისის მთავრობა, ქალაქში ეკონომიკის სტიმულირებას აპირებს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით და არა საბიუჯეტო თანხის ხარჯვით. ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ გათვალისწინებული ვერ იქნება ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" შეთავაზება, ქონების გადასახადების 10%-იანი შემცირების პარალელურად 180 მილიონიანი სოციალური ხარჯის გაწევა, რადგან ერთმანეთთან არათავსებადია და მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია აღნიშნული თანხის მოძიების წინადადებები, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ამხელა თანხის გამოთავისუფლება. სამისამართე აბრების დამატებისთვის ტენდერების ჩატარების შედეგად გამოთავისუფლებული თანხის გადანაწილებაზე განაცხადა, რომ წლის განმავლობაში ნამდვილად იქნება სატენდერო ეკონომიები და ამ თანხის განკარგვა მოხდება საკრებულოსთან შეთანხმებით. ირაკლი

ხმალაძემ, იმ ადამიანებისთვის საცხოვრებელი ფართის დაკანონებაზე, რომლებიც წლების მანძილზე ცხოვრობენ მუნიციპალიტეტის ბალანზე არსებულ შენობა-ნაგებებში, განაცხადა, რომ თბილისის მთავრობის დღემდე გამართულ ყველა სხდომაზე განხილული იქნა მსგავსი შინარსის საკითხები, რომლებიც შემდგომ, საკრებულოშიც იყო წარმოდგენილი და არა მხოლოდ მთაწმინდის რაიონში, არამედ მთელი თბილისის მასშტაბით მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა. რაც შეეხება პენსიების ზრდას, მისი თქმით, თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ მიმართულებით გამოიყოს 180000000 ლარი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, კითხვის დაზუსტების მიზნით, მიმართეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი).

ლილე ლიპარტელიანმა მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში არსებულ მაღალ ანაზღაურებაზე განაცხადა, რომ მათ მიერ მაგალითად მოყვანილი ადამიანი არის შტატგარეშე მოსამსახურე და მისი ანაზღაურება შეადგენს 8000 ლარს და ეს არ არის საათობრივი. რაც შეეხება განმარტებას, რომ ეს თანხა არის საათობრივი ანაზღაურება, განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში არსებობს ტრენინგების ჩატარების აპრობირებული მეთოდი - სერვისის შესყიდვა და უმჯობესია მერიამ მიმართოს ამ მეთოდს. ასევე, სიმართლეა და არა სიცრუე ის, რომ სპორტის განვითარების ხელშეწყობა შემცირებულია 3635900 ლარით, ხოლო სოციალური ხარჯები - 2800000 ლარით და ამაზე მიუთითებს ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი თანხები.

გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ პასუხი არ მიუღია კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს უფასო სასადილოებში ამ ეტაპზე არსებული ყველა ბენეფიციარის განცხადება და აღარ იყოს მომლოდინეთა რიგი.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ პასუხი ვერ მიიღო დასმულ კითხვებზე: კახა კალაძე თვლის, რომ დღეს პენსიონერებს არ სჭირდებათ 200 ლარიანი წამლის ვაუჩერი, რათა მათი ჯანმრთელობა მეტ-ნაკლებად იყოს დაცული და არ თვლის, რომ სტუდენტებს მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის ნაცვლად უნდა ჰქონდეთ უფასო, რათა შეძლონ გადაადგილება და უნივესიტეტებამდე მისვლა.

კახა კალაძემ გაიხსება დადებული პირობა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მოუწევთ საუბარი დღევანდელი ხელისუფლების მიერ გაკეთებულ პროექტებზე, წარმატებებზე და წინსვლაზე, განაცხადა, რომ შეასრულებს ამ პირობას და „ჩვენი ქალაქი ძალიან მალე იქნება სიცოცხლით სავსე". მან ასევე, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ არათუ პენსიის რაოდენობა, არამედ ნებისმიერი მიმართულებით არსებული დაფინანსება არ არის საკმარისი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება", განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები და პროექტები, თუნდაც ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან მძიმეა სოციალური ფონი და სწორედ აქედან გამომდინარე, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი მიმართულია იმისკენ, რომ გამოსწორდეს ეკონომიკური მდგომარეობა და აშენდეს ქალაქი. მისი თქმით, ამ მშენებლობის, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროცესში შეიქმნება სამუშაო ადგილები და ასევე, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გაკეთდება ყველაფერი იმისთვის, რომ გამოსწორდეს არსებული სოციალური მდგომარეობა.

ირაკლი ჩაკვეტაძემ გააკეთა განმარტება ლილე ლიპარტელიანის განცხადებაზე, თითქოს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით შემცირებულია სპორტის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ამ მიმართულებით დაფინანსება არ შემცირებულა, პირიქით, გაზრდილია დაახლოებით 300000 ლარით. 2017 წელს ამ მიმართულებით გათვალისწინებულ დაფინანსებას დამატებული ჰქონდა თანხა რაგბის კომპლექსისთვის, თუმცა ეს იყო კალენდარული ღონისძიება და გულისხმობდა 20 წლამდე ასაკის რაგბის ჩემპიონატის ჩატარებას და განაცხადა, რომ თუკი ჩაინიშნება მსგავსი სახის ღონისძიება, მერიის შესაბამის სამსახურს აუცილებლად დაემატება დაფინანსება.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ პასუხი არ მიუღია კითხვაზე თუ რა არის დაგეგმილი იმისთვის, რომ გაკეთდეს ცინცაძე-კარტოზიას ესტაკადა, რომელიც ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ირაკლი ხმალაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და კიდევ აღნიშნა, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ტრენერებზე გაცემული ანაზღაურება არის მათ მიერ გარკვეული ჩატარებული ტრენინგების საათობრივი ანაზღაურება და ამაზე მეტყველებს ის მოცემულობა, რომ ამ ადამიანებს, მთელი წლის მანძილზე, აღებული აქვთ ერთი ხელფასი. სწორი აქცენტია გაკეთებული, რომ ბარემ მომსახურება შევისყიდოთ, თუმცა, რეალურად ასეც არის - მუნიციპალიტეტს აქვს ტრენინგ-ცენტრი, ხდება მხოლოდ მომსახურების შესყიდვა, რაც შედარებით უფრო იაფი ჯდება. აღნიშნა, რომ მას არაფერი უთქვამს სოციალური ხარჯების შემცირებაზე, საუბარი იყო კომუნალური ვაუჩერის დაფინანსების შემცირებაზე და ამ კუთხით თანხა წარმოდგენილია ფაქტობრივი მოხმარებიდან გამომდინარე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოხდება დამატება. რაც შეეხება დამატებითი თანხის გამოყოფას იმისთვის, რომ უფასო სასადილოებში აღარ იყოს მომლოდინეების რიგი, განაცხადა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში თანხები, დიდი ყურადღებით და სიფრთხილით განაწილებულია ოპტიმალურად იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც წაადგება ჩვენს ქალაქს და ამ ეტაპზე, თუნდაც 3000000 ლარის მოძიება და ამ მიმართულებით მიმართვა არ არის შესაძლებელი. ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ ცინცაძე-კარტოზიას ესტაკადის პროექტისთვის საჭირო თანხა წარმოდგენილია ბიუჯეტის პროექტში, ხოლო კონკრეტულად როგორ განხორციელდება, ამას ვნახავთ 2018 წელს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, ფრაქციების და კომისიების სახელით, გააკეთეს განცხადებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ბექა დავითულინმა მადლობა გადაუხადა ქალქის მერს და მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) დეტალური ინფორმაციის წარმოდგენისთვის, ასევე, მადლობა გადაუხადა კოლეგებს, რომლების მიერ დასმული კომპეტენტური კითხვებიდან გამომდინარე, მოხდა მოსახლეობის სწორი და დეტალური ინფორმირება. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ გუნდმა, სიღრმისეულად და დიდხანს იმუშავა წინასაარჩევნო პროგრამაზე, რათა შემუშავებულიყო იმ ტიპის პროგრამა, რომელსაც თბილისის მოსახლეობამ გამოუცხადა მაღალი ნდობა და სწორედ ამ პროგრამაზეა დაფუძნებული 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი. შესაბამისად, საზოგადოება შეგვაფასებს ამ გეგმის წარმატებით შესრულებიდან გამომდინარე და არა რომელიმე სხვა პროგრამის. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი ხედვები მთლიანად დაემთხვა მოსახლეობაში არსებულ განწყობას და არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების, არამედ თბილისელების სურვილია, რომ ქალაქი იყოს სიკეთით, შესაძლებლობებით, თანაგრძნობით და სიცოცხლით სავსე და გამოვიდეს ნეგატიური მდგომარეობიდან, რომელში ჩათრევასაც ზოგიერთი ოპოზიციონერი კოლეგა მუდმივად ცდილობს. ბექა დავითულიანმა განაცხადა „დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ნამდვილად სიცოცხლით სავსე იყოს ჩვენი ქალაქი და მთლიანად ჩვენი ქვეყანა... მინდა მჯეროდეს, რომ გულის სიღრმეში, ჩემს ოპოზიციონერ კოლეგებსაც ეს სურთ“. ეს არის ის პრიორიტეტი, რომელსაც თბილისის მოსახლეობა უჭერს მხარს და აუცილებლად დავამკვიდრებთ ოპტიმისტურ განწყობას, რადგან გაგვაჩნია ამის საფუძველი და ყოველდღიურად გავამყარებთ ამ განწყობას კონკრეტული საქმეებით, რომლის შედეგებიც ყველასთვის, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებისთვისაც, საგრძნობი და სასურველი იქნება. ბექა დავითულიანის თქმით, 2018 წლის ბიუჯეტი პროექტი ემსახურება ზემოთქმულ მიზნებს და დარწმუნებულია, რომ ერთობლივი მუშაობით, მიაღწევენ ამ მიზნებს და მიმართა კოლეგებს „მხარი დავუჭიროთ თბილისის ბიუჯეტის 60 მილიონი ლარით გაზრდას, ძველი თბილისის რეაბილიტაციას, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებას, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჩვენს თანამოქალაქეებზე ზრუნვას და ჩვენს სიცოცხლით

სავსე ქალაქს". ბექა დავითულიანმა, ფრაქციის სახელით, დააფიქსირა პოზიცია, რომ მხარს უჭერს თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს და განაცხადა „დარწმუნებული ვარ, ეს ბიუჯეტი წარმატებას მოუტანს ჩვენს ქალაქს და თანამოქალაქეებს.

ლევან ხაბეიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღებში კვებისთვის განკუთვნილი დღიური დაფინანსება გაორმაგდა, ხოლო ამავე კუთხით უფასო სასადილოების დაფინანსება დარჩა იგივე. აქედან გამომდინარე, დასვა კითხვა, რომ მხოლოდ ბავშვების გამოსაკვებად შესაძენი პროდუქტი გაძვირდა და სოციალურად დაუცველებისთვის შესაძენი არა? რაზეც მიიღო აბსოლუტურად გაუგებარი პასუხი. რომ თურმე. ბავშვები ჭამენ დღეში რამდენჯერმე, ხოლო უფასო სასადილოებში ერთჯერადი კვებაა. ასევე აღნიშნა, რომ ჰქონდა მოლოდინი, რომ კახა კალაძე შეასრულებდა წინასაარჩევნო დაპირებას და თუნდაც მცირედით შეამცირებდა ბიუროკრატიულ ხარჯებს, თუმცა მივიღეთ ის, რომ არაერთი ადამიანი, საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით, დასაქმდა ხელშეკრულებით. ასევე, ქალაქის მერის სიტყვებია, რომ აუქმებს 19 კომისიას, რის შედეგადაც დაიზოგება ბიუროკრატიული ხარჯები და მერიის მუშაობა გახდება ეფექტური და დასვა რიტორიკული კითხვა - რომელი კომისია უშლიდა მერიის ეფექტურ მუშაობას ხელს და რამდენი ლარით დაიზოგა ბიუჯეტი? რომელსაც თავადვე უპასუხა, რომ ამის შედეგად, ბიუჯეტი არ დაზოგილა არც ერთი ლარით, რადგან ეს კომისიები დაკომპლექტებული იყო მერიის თანამშრომლებით, რომლებიც მისსავე სამსახურში იღებენ ანაზღაურებას და განაცხადა, რომ ძალიან ცუდია თბილისელებთან ურთიერთობის დაწყება ტყუილებით. ლევან ხაბეიშვილმა მიმართა კახა კალაძეს „თქვენ მერად აგირჩიეს თბილისელებმა, მერე რა, რომ მე არ აგირჩიეთ და მერე რა, რომ სხვა პოლიტიკური პარტიებიც არიან, თქვენ არ ხართ ქართული ოცნების მერი და რატომ ხართ ისეთ პოზაში, რომ მხოლოდ ქართული ოცნების პარტიული მერი ხართ და არა დანარჩენი თბილისელების... თქვენ ფაქტობრივად, ყოველმა მეორემ ხმა არ მოგცათ ანუ ყოველი მეორე რასაც ფიქრობს უნდა დასცინოთ, აიგდოთ და შეურაცხყოფა მიაყენოთ და ეს არის ნორმალური? ასე აპირებთ კონსტრუქციულ ურთიერთობას?" ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის მთავრობის დამტკიცებისას, ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰქონდათ კითხვები, თუმცა კახა კალაძე არც საკრებულოს სხდომაზე მოვიდა და საერთოდ არ შეხვდა მათ, დღეს კი ამბობს, რომ არის კონსტრუქციული, ყველა კითხვაზე აქვს პასუხი და შეხვდება ოპოზიციას. ლევან ხაბეიშვილი დაუბრუნდა უფასო სასადილოებში კვებისთვის გათვალისწინებულ დაფინანსებას და განაცხადა, რომ როდესაც საუბარია, თითქოს კონკურენციის პირობებში დაიკლო ფასმა, უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერი გამოცხადებული იყო 1.18 ლარად, შესაბამისად, მეტად ვერ მოიგებდნენ. ეს კი ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენილი ფასი მერიისთვის მისაღებია და კითხვით მიმართა დარბაზში მყოფთ: „ვინმე აწევთ ხელს, რომ 1.13 ან 1.18 ლარად მოახერხებთ გამოკვებას?" თუმცა, ამ კითხვასაც თავადვე უპასუხა - რა თქმა უნდა არა, ვერც ერთი ვერ მოახერხებთ. მისი თქმით, სწორედ ამ ხარჯის გაზრდას ითხოვდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და არა იმას, რომ 15 მილიონით გაზრდილიყო საქონელი და მოსახურეობის მუხლი.

ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ არ უნდოდა დღევანდელი დღე გადაზრდილიყო „პოლიტიკური ორომტრიალის ჭრილში", თუმცა ეს აწყობს ოპოზიციას და ყოველთვის ცდილობს, რომ დადგას „მათთვის ჩვეული შოუ", რათა შემდეგ მანიპულირება მოახდინოს თავის მხარდაჭერებზე. მისი თქმით, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი ბევრი პოზიტიური ცვლილებები მისასალმებელია, აღნიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლებისთვის მთავარია ახალი თაობების და თანამოქალაქეების უკეთესი მომავალი და ბიუჯეტის პროექტში ასახულია სწორედ ისეთი პრიორიტეტები, რომლებიც მორგებულია მათ კეთილდღეობაზე და რომლებიც კახა კალაძის და „ქართული ოცნების" გუნდის წინასაარჩევნო დაპირებები იყო და განაცხადა, რომ „ჩვენ სწორედ ამ დაპირებების შესასრულებლად მოვედით". ჯაბა ჯიშკარიანის თქმით, ოპოზიციის მხრიდან განუწყვეტლივ ისმის ბრალდებები, თითქოს გაიზარდა ადმინისტრაციული და სამივლინებო ხარჯი და როდესაც ისინი საუბრობენ გაზრდილ თანხებზე, რაც მოკლებულია რეალობას, ახსენდება „თბილსერვის ჯგუფში" გაფორმებული, საზოგადოებისთვის ცნობილი ასობით სახე - 764 აქტივისტი, ე.წ. პარტიული კოორდინატორი,

რომლებსაც არც ერთი დღე არ უმუშავიათ, თუმცა ხელფასისი სახით დაერიცხათ 4130728 ლარი და არ ახსენდება, რომ მაშინ, უხერხულობის განცდა ჰქონოდათ მათ, ვისაც დღეს აქვს კრიტიკული აზრი. ჯაბა ჯიშკარიანმა მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს „თქვენ ხართ ის პოლიტიკური პარტია და ახლა უკვე პარტიები, რომელიც პოლიტიკური ნიშნით არჩევდით მომღერლებს, მსახიობებს, საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს და ამავე ნიშნით არჩევდით მოქალაქეებს და უხსნიდით სოციალურ დახმარებას". როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები საუბრობენ კორუფციაზე, გაიხსენონ რომ არიან იმ გუნდის წევრები, რომლმაც რიყე გაასხვისა 7 მილიონ ლარად და შემდეგ, ხალხის ფულით, 17 მილიონ ლარად, უკან გამოისყიდა და ეს იყო მათი პოლიტიკური დღის წესრიგი, მმართველობის სტილი და ასეთი იყო მათი მიდგომა თბილისელებზე, რომლებმაც ამ გუნდს კიდევ ერთხელ გამოუცხადა უნდობლობა. ჯაბა ჯიშკარიანის თქმით, დღევანდელი ხელისუფლება არის სახალხო, რომლისთვისაც მთავარი ღირებულება და იდეალი არის ადამიანი, რაც ჩვენს ყოველდღიურობაშიც იგრძნობა. განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ" უარი თქვა ფასადურ პიარზე, „სიკვდილის ბრიგადების ქალაქი, სიცოცხლით სავსე ქალაქად" აქცია და ეს, უახლოეს ისტორიაში, არის ყველაზე წინ გადადგმული ნაბიჯი და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს „სიმბოლურია, იმ ადგილას, სადაც თქვენი მმართველობის პერიოდში სისხლის გუბეები იდგა, ახლა სიცოცხლით სავსე ქალაქის აბრევიატურის წარდგენა... ეს გახრჩობთ თქვენ, მაგრამ, ეს საბედნიეროდ, ახარებს თბილისს". საუბრის ბოლო, ჯაბა ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ პრიორიტეტებს და ციფრებს და თავისი ერთი ხმით „დებს კიდევ ერთ აგურს სიცოცხლით სავსე ქალაქის მშენებლობაში".

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ჯაბა ჯიშკარიანი „ისე საუბრობს, გეგონება უკვე რაღაცას მიაღწია ქართულმა ოცნებამ თბილისში და გეგონება ბოლო სამწელიწადნახევარი არ ყოფილიყოს ტოტალური იმედგაცრუების და ჩავარდნის. ნარმანიას სახე იქცა უნიათობის, უთავბოლობის, საქმის ვერ კეთების, დენდროლოგიურ პარკში ხეების მაგივრად დარგული ჯოხების, ხუთჯერ ჩანგრეული და გაკეთებული ხიდის, თანხების ფლანგვის, კორუფციის, ნეპოტიზმის სამწელიწადნახევარი". აღნიშნა, რომ არ სურს ვინმეს ჩირქი მოსცხოს და მოაწყოს შეჯიბრი, თუ ვინ უფრო უარესია. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პლიუსებიც, უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯებიც, ჩავარდნებიც, ის რაც შეეშალათ და რის გამოც გადაირჩია ხალხმა, ასევე, დღევანდელი ხელისუფლების ჩავარდნები, უნიათობა, უსაქმურობა, გაფლანგული ფული, ვერ გაკეთებული პროექტები, მას აქვს საქმიანი განწყობა და სწორედ საქმიან რეჟიმში სურს საუბარი. გიორგი გაბაშვილის თქმით, ფრაქციის მიერ შეთავაზებული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო თანხის მოძიება ბიუჯეტში შესაძლებელია იმ გზით, რომ თბილისის მერიამ კრიტიკულად შეხედოს 2018 წლის ბიუჯეტით გასაწევ ხარჯებს და მაგალითისთვის ისაუბრა თუ როგორ ხდება ქალაქში ასფალტის დაგებაზე გამოყოფილი დაფინანსების გამოყენება. მისი თქმით, მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური, რომელიც გზების დაგებასთან დაკავშირებული სამუშაოების ძირითადი განმახორციელებელია, ასფალტს აგებს 50 ლარად, იმავე სტანდარტით, რა სტანდარტითაც მუშაობენ გამგეობები, თუმცა კრწანისის გამგეობა ამას აკეთებს 70 ლარად, გლდანის - 63 ლარად, საბურთალო - 60 ლარად და ასე შემდეგ. აღნიშნული სამუშაოს გაკეთება რომ დაევალოს იმ უწყებას, რომელიც უფრო კომპეტენტურია და ამასთანავე, უფრო იაფად აკეთებს, დაიზოგება 20-25 მილიონი ლარი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება სხვა მიმართულებით. ასევე, ისაუბრა შტატების შემცირებაზე და მისთვის გასაგებია, რომ თბილისის მერია ამის გაკეთებას დრამატულად ვერ შეძლებს, თუმცა გაუგებარია ახალი აბსოლუტურად არაკომპეტენტური შტატების მოგონება, როგორებიცაა: მერის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მრჩეველი, სტრატეგიაში მრჩეველი, მრჩეველი საორგანიზაციო საკითხებში და მათი ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე სამსახურების უფროსების. ყველა ამ მიმართულებით, მერიაში არსებობს შესაბამისი სამსახურები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ საკმაოდ კომპეტენტური კადრები და

ამ კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა არათუ ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება, არამედ ორმაგი ბიუროკრატიაა. მის თქმით, კარგია რომ დავით ნარმანიას მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს დაემატა 60 მილიონი ლარი, თუმცა არაფერი გაკეთებულა იქ, სადაც შეიძლებოდა ეკონომიის გაკეთება, რესტრუქტურიზაცია, ბიუროკრატიული ხარჯების მინიმალიზაცია და არანაირ ახალ პრინციპებს არ შეიცავს ეს ბიუჯეტი. ასევე, საუბარია ახალი ავტობუსების შეძენაზე, თუმცა არც ამ მიმართულებით არის ბიუჯეტში თანხა წარმოდგენილი და თუ ეს პროექტი ხორციელდება საზღვარგარეთიდან დაფინანსებით გზით, ამავე გზით შესაძლებელია ინფრასტრუქტურული ხარჯების ნაწილის მოზიდვაც, მით უმეტეს მაშინ, როდესაც არსებობს ამის გამოცდილება და აქედან გამოთავისუფლებული თანხების გადატანა ქალაქში არსებული უპირველესი პრობლემების მოსაგვარებლად. გიორგი გაბაშვილის თქმით, ქალაქის ბიუჯეტი უნდა აფინანსებდეს გაჭირვებულებს - ხალხს, რომლებსაც არ შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ თავზე და განვითარებას - ხალხს, რომლებსაც შეუძლია იზრუნოს თავის თავზე და განაცხადა, რომ გაჭირვებულებზე ზრუნვის საუკეთესო მეთოდი არის სოციალური სოლიდარობის პროგრამები, მათ შორის პენსია. იმ ადამიანებს, ვისაც უჭირს და არ შეუძლია საკუთარ თავზე ზრუნვა, უნდა გავუზარდოთ პენსია, თუკი კანონი გვაძლევს ამის საშუალებაა, ხოლო იმას, ვისაც ეს შეუძლია, ჯობს დავეხმაროთ იმ ფორმით, რომ განვითარდეს ეკონომიკა, რისთვისაც უნდა დაიწიოს ქონების გადასახადმა 10%-ით, რაც მცირე და საშუალო ბიზნესს დაუტოვებს 16-20 მილიონ ლარამდე. გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ამ კუთხით, შეგვიძლია, ყველანაირი დაპირისპირების და ურთიერთბრალდებების გარეშე, მოვისმინოთ და გავიზიაროთ ერთმანეთის აზრი და მიმართა კახა კალაძეს, რომ როდესაც ახალი წლის განათებასთან დაკავშირებით გეკითხებიან პირდაპირი შესყიდვის მექანიზმზე, რომელიც ნამდვილად გაუმართლებელია, მით უმეტეს ახალ წელთან დაკავშირებით, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში დადგება ფორს-მაჟორულად, არ უნდა უპასუხოთ ისე, თითქოს ვინმეს სწყინდეს კარგად განათებული ქალაქი... „არა ბატონო, კარგად განათებული ქალაქიც გვიხარია, რაც მეტი სიცოცხლე იქნება ქალაქში, ესეც გვიხარია, ჩვენ არ ვართ ის ოპოზიცია, რომელიც მკვდარი ქალაქის ტაქტიკას აცხადებდა, რაც მეტი საქმე გაკეთდება, გაგვიხარდება... მაგრამ, სიცოცხლით სავსე ქალაქში პენსიონერებიც ცხოვრობენ, სოციალურად დაუცველებიც ცხოვრობენ“ და იმ ფონზე, როდესაც შეგიძლიათ დაზოგოთ მილიონები სწორად განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ორმაგად არ ფლანგოთ თანხა ბიუროკრატიაზე, არ შეიძლება ქალაქში არსებობდეს 7000 ადამიანი, რომელიც დარეგისტრირებულია და ელოდება როდის გათავისუფლდება მისი ადგილი უფასო სასადილოში.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ ბიუროკრატია ნიშნავს არა სახელფასო ფონდის შემცირებას, არამედ დროში გაწელილ საქმიანობას, ეს კი ნამდვილად შეამცირა ამ გუნდმა და კომისიის საშუალებით განსახორციელებელი საქმეები, განხორციელდება პირდაპირ და უფრო მოკლე დროში. თუმცა, თუ ოპოზიციის წარმომადგენლები ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებაში გულისხმობენ სახელფასო ფონდის შემცირებას, ესეც შემცირებულია 6000000 ლარით და ასევე, შემცირებულია წარმომადგენლობითი ხარჯი. დავით უთმელიძის თქმით, გაუგებარია ბიუროკრატიული ხარჯების გაზრდაზე საუბარი მაშინ, როდესაც „პირველად ამ ქალაქის ისტორიაში, გვყავს მერი, რომელმაც ხელფასზე თქვა უარი“ და განაცხადა, რომ უმჯობესია ვისაუბროთ იმაზე, რომ ზემოთქმული ხარჯების შემცირებით, გაზრდილია ჯანდაცვის და გამწვანების სამსახურების დაფინანსება, რაც ძალიან კარგია. 2018 წლის ბიუჯეტით უნდა განხორციელდეს მეტროს რეაბილიტაცია, გზების და ესტაკადების მშენებლობა და სხვა, რაც მოხდება სწორედ იმ 60 მილიონის ხარჯზე, რომელიც დაემატა ბიუჯეტს. დავით უთმელიძის თქმით, ეს არის კარგი ბიუჯეტი, მომავალ წლებში კიდევ უფრო უკეთესი იქნება და შესრულდება ჩვენი გუნდის ყველა დაპირება. ასევე ისაუბრა საახალწლო განათებაზე და კითხვაზე, რატომ იქნა შერჩეული ის კომპანია, რომელმაც გაანათა ლონდონი და არა რომელიმე სხვა ქალაქი, განაცხადა, რომ ლონდონის შარშანდელი საახალწლო განათება აღიარეს, როგორც ევროპის ყველაზე ლამაზად მორთული ქალაქი.

მარინა დათუკიშვილმა მიმართა კახა კალაძეს, რომ მისი საარჩევნო დაპირებები შესაძლებელია იყო „თავბრუსდამხვევი“, რადგან ყველას ახსოვს „უფასო ფული, პენსიონერებისთვის უზრუნველი ცხოვრება და 250 ლარიანი პენსია, სოლარიუმი ყველა ოჯახში და შემდეგ“. მისი თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტი არ იქნება კახა კალაძის „სურვილებული კრებულისთვის საკმარისი“ და განაცხადა, ის, რომ მას არ წაუკითხავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის მიერ გაგზავნილი წერილი, ნამდვილად არ არის კარგი ტონი. მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ ფრაქციის წერილში იყო კონსტრუქციული შეთავაზებები და როდესაც ქალაქის მერი ოპოზიციის წარმომადგენლებს ტრიბუნიდან მოუწოდებს კონსტრუქციულობისკენ, ხოლო თავად არც კი კითხულობს მათ მიერ გაგზავნილ წერილს, სირცხვილია და მიმართა მას „ეს თქვენი ვალდებულებაა და თქვენი ვალდებულება უნდა შეასრულოთ“.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა „აქ ისმოდა გაჭირვებულ ადამიანთა ვითომდა გულანთებული ქომაგების ხმამაღალი განცხადებები, სინამდვილეში კი გაჭირვებული ადამიანების მდგომარეობით მოვაჭრე პოლიტიკოსების განცხადებები იყო“. მისი თქმით, სიღარიბე და ეს მდგომარეობა არის ის მოცემულობა, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას მემკვიდრეობით ერგო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებისგან, რომელმაც დააყენა ადამიანები საკვების რიგში, ხოლო დღეს, გახსნილია ყველა დახურული ობიექტი და შექმნილია ადამიანური პირობები, რადგან დღევანდელმა ხელისუფლებამ, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე ადამიანებს დაუბრუნა თავისუფლება და ის ღირებულებები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ „ფეხქვეშ გათელა“. ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა საახალწლო განათების პირდაპირი შესყიდვის გზით შემენაზე და აღნიშნა, ამ ხარჯის გაწევა საჭირო იყო იმისთვის, რომ 2018 წელს ახალი წელი დადგეს არა მარტო რუსთაველის გამზირზე და ჭავჭავაძის გამზირზე, არამედ მთელ ქალაქში, რადგან, თბილისის ყველა რაიონში მაცხოვრებლებს ერთნაირად უნდა საახალწლო განწყობა. თუმცა, მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებს ეს არ აინტერესებთ ისევე, როგორც არ აინტერესებთ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი გაიზარდა 60 მილიონით, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაიხარჯება 320 მილიონი ლარი, გარემონტდება მეტროსადგურები და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გაიზრდება ხელმისაწვდომობა, განვითარდება ერთიანი ტურისტული მარშრუტი და თბილისი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქალაქი გახდება.

ირაკლი ნადირაძემ მიმართა კახა კალაძეს „კარგია რომ მობრძანდით, თუმცა ცუდია ის, რომ არ გაქვთ წაკითხული ჩვენი შეთავაზებები და როდესაც საუბრობთ კონსტრუქციულ დიალოგზე და თანამშრომლობაზე, ეს არის კიდევ ერთი მაგალითი, რომ თქვენ არ აპირებთ და არასდროს აპირებდით ამას“. განაცხადა, რომ ოპოზიციას არ ეშინია „სიცოცხლით სავსე ქალაქის“, მას ეშინია „კორუფციით სავსე ქალაქის“ და სწორედ ამიტომ აპროტესტებს სამმილიონიან და ორი მილიონ შვიდასიათასიან ხელშეკრულებებს ტენდერის გარეშე, ორმოცდათორმეტმილიონიან ხელშეკრულებას, რომელიც 2017 წლის 6 მარტს გამოსცა პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა და სინამდილეში რატომაც ხდება თბილისის ბიუჯეტისთვის თანხის დამატება. სიტყვებზე, თითქოს ოპოზიციის წარმომადგენლებს არ უხაროდეთ ახალი წლის მოსვლა, განაცხადა, რომ მთავარი ის კი არა არის, რა უხარია ოპოზიციას, არამედ ის, რომ მოსახლეობას უხაროდეს ახალი წლის მოსვლა და კატასტროფულად გაუფასურებული ლარის და გაძვირებული პროდუქტების ფონზე, იმის სასუალემა მაინც ჰქონდეს, რომ ერთი ცალი კანფეტი მაინც მიიტანოს სახლში. ირაკლი ნადირაძის განაცხადა, რომ თუ გვინდა, რომ საქმე კარგად გაკეთდეს, უნდა მივიღოთ კარგი ბიუჯეტი და არა ასეთი, სადაც გაზრდილია ბიუროკრატია და მიმართა უმრავლესობის წევრებს „თქვენ უარი თქვით ჩვენს შეთავაზებებზე, რომ პენსიონერებისთვის მიგეცათ 200 ლარიანი მედიკამენტების ვაუჩერი, უარი თქვით, რომ 150 ლარიანი კომუნალური ვაუჩერი მიგეცათ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც საშუალო და დაბალი შემოსავალი აქვთ იმ ფონზე, როდესაც ვერ გაანახევრეთ ტარიფები, ვერც ერთი თეთრი ვერ გაიმეტეთ სასადილოებზე, უარი უთხარით სტუდენტებს, რომ უფასო მგზავრობა ჰქონდეთ ამ ქალაქში“. მისი თქმით, ეს არის ბიუჯეტი, რომლითაც მომავალ წელს, სამწუხაროდ, ისევ და ისევ ვერ მოგვარდება

საცობების, პარკირების, გამწვანების, დასაქმების, ჯანდაცვის, სოციალური, ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემები. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ამ ბიუჯეტის დამტკიცებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ მიიღებს მონაწილეობს და ფრაქციის წევრებმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს სხდომა.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი, როგორც არასდროს, ორიენტირებულია დედაქალაქის მოთხოვნებზე, მასში ასახულია სწორედ ის დაპირებები და პრიორიტეტები, რომლებსაც მხარი დაუჭირა არჩევნებზე მოსულმა დედაქალაქის მოსახლეობამ. მან კომენტარი გააკეთა ოპოზიციის შეკითხვაზე, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული მათი წინადადებები და აღნიშნა, რომ მათ აქვთ აბსოლუტურად აბსურდული შეთავაზებები. კერძოდ, ერთნი ითხოვენ იმ ტრამვაის ხაზის აღდგენას, რომელიც თავად აყარეს და გაყიდეს, ტრამვაის ერთი ხაზის გაკეთება, მოსკოვის პროსპექტიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე ჯდება 400 მილიონი ლარი, ხოლო მეორენი, ითხოვენ პენსიების 20 ლარით და სოციალური დახმარებების 50 ლარით გაზრდას. ასევე ამბობენ, თითქოს სატრანსპორტო მიმართულებით დაფინანსება შემცირებულია 22 მილიონით და აღნიშნა, რომ გაუგებარია რანაირად არის კლება, როდესაც 2017 წლის ბიუჯეტში, დეკემბერის თვეში, განხორციელდა ცვლილება და სატრანსპორტო მიმართულებით გადანაწილდა 4000000 ლარი, რასაც კიდევ 14000000 ლარი ემატება. ხოლო როდესაც საუბრობენ ბიუროკრატიული ხარჯების გაზრდაზე, „სცდებიან ყოველგვარ ზღვარს“. ირაკლი ზარქუას თქმით, შეუძლებელია ისეთ ოპოზიციასთან კონსტრუქციული საუბარი, რომელიც „სიცრუის მორევშია და ცდილობს საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში“. მან სხდომას გააცნო ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი იმ ადამიანების სია, რომლებიც თითქოს დასაქმებული არიან მერიაში და აქვთ მაღალი ანაზღაურება და განაცხადა, რომ ეს ადამიანები, პროექტის ფარგლებში, სამი თვის ვადით, მოწვეულები იყვნენ კერძო სექტორიდან და ანაზღაურებაც მიეცათ ერთჯერადად შესრულებულ სამუშაოში. ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი, წარმოდგენილი სოციალური, ეკოლოგიის და გამწვანების, სპორტის და სხვა მიმართულებებით განსახორციელებელი პროექტებით მისასალმებელია და „თბილისი გახდება სიცოცხლით სავსე“.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ დღემდე, საახალწლო განათება არასდროს ყოფილა კონიაკის ქარხნის იქით და იმ რაიონში მაცხოვრებელი მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს, თბილსერვის ჯგუფს და კეთილმოწყობის სამსახურს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს და მთავრობას. აღნიშნა, რომ ბიუჯეტი არის ერთ-ერთი საუკეთესო, რომელშიც გათვალისწინებული პრიორიტეტები და მიმართულებები ორიენტირებულია იმ ადამიანებზე, რომლებისთვისაც ყველაზე მეტად არის აქტუალური. მისი თქმით, მომავალში ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზრდება და შესაბამისად, კიდევ უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა იქნება. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის გაღიზიანება და ნერვიულობა გამოიწვეულია იმით, რომ მათთვის „სრულიად შოკია“ ასეთ მცირე პერიოდში ამდენი გაკეთებული საქმე და ასეთი ბიუჯეტი, რადგან მოლოდინი იყო სხვა და მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათ კითხვაზე პასუხი იყო არგუმენტირებულად გაცემული, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მათი ინტერესი არ არის ის, თუ რა გაკეთდება 2018 წლის განმავლობაში. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გამოცხადდა ხუთწუთიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრმა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის N13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ბიუროკრატიის შემცირების და მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება რამდენიმე საბჭოს და კომისიის გაუქმების შესახებ და მათ შორის არის არქეოლოგიური საბჭოც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წესში გათვალისწინებულია არქეოლოგიური საბჭოს მიერ განსახილველი საკითხები, ხოლო ამ ეტაპზე, საბჭოს გაუქმებიდან გამომდინარე, საჭიროა წესიდან იმ დებულებების ამოღება, რომლებიც ითვალისწინებს არქეოლოგიური საბჭოს ჩართულობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ არქეოლოგიურმა საბჭომ შეასრულა ის ამოცანა, რისთვისაც იყო შექმნილი, კერძოდ, ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა არქეოლოგიური კვლევა. თუმცა, სამეცნიერო წრეებთან, კულტურის სამინისტროსთან და ექსპერტთა ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, თუ იქნება აღმოჩენილი ახალი არქეოლოგიური ლოკაციები, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია თავს არ არიდებს კვლევების და პროექტების დაფინანასებას და შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის წესში არქეოლოგიური კვლევების დაფინანსების გაუქმება და აქედან გამომდინარე, წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტი არ უნდა იქნას ამოღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ არქეოლოგიური საბჭოს გაუქმებიდან გამომდინარე, წესიდან ამოღებული უნდა იქნას პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, რაც თავისთავად იწვევს პირველი მუხლის მე-5 პუნქტის ჩამოყალიბებას ახალი რედაქციით, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა მე-6 პუნქტსაც.

სერგო ბირკაძე დაეთანხმა თამარ ტალიაშვილის და ლევან ჟორჟოლიანის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია იმ მოქალაქეების ფართებით დაკმაყოფილება, რომლებიც უკვე თერთმეტ წელზე მეტია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობაში. მან აქვე აღნიშნა, რომ სულ ხუთ ოჯახს, საერთო ჯამში, გადაეცემა 321 კვ.მ. ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, ზეჟან კალანდაძის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.01.002.007.01.015 და N01.18.01.002.007.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, წარმოდგენილია წინა საკითხის მსგავსი შინაარსის პროექტი, თუმცა, ამჯერად, ორ ოჯახს, რომლებიც 17 წელია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე, გადაეცემა ორი ერთეული ფართი, ჯამში 58 კვ.მ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3642 კვ.მ. (ნაკვეთი 05/058) (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.058) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 19 ოჯახისთვის, მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 2240 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.30.011.002) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ფიზიკურ პირს - თენგიზ ჩადუნელს (პ/ნ.: 01006018902) (უფლებამონაცვლე: შპს „ეს-ემ-ი ჯგუფი“ ს/ნ.: 405187471)) შორის 2017 წლის 25 იანვარს გაფორმებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის N0-339-1-20540 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, 2017 წლის 25 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ეს-ემ-ი ჯგუფის“ (ს/ნ.: 405187471) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, კომპანიას 2017 წლის 25 ივლისამდე, 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე უნდა განეთავსებინა მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობა. თუმცა, ნებართვა გაიცა დაგვიანებით და აქედან გამომდინარე, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო. ამ ეტაპზე წარმოდგენილია კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა ორ ნაწილში: პირგასამტეხლოს განაწილება ერთი წლის ვადით და ვალდებულების შესრულების ვადის გადაწევა 2018 წლის 25 იანვრამდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „კონსალტინგ გრუპის“ (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, კომპანიას 2017 წლის 30 ნოემბრამდე, 30 ადგილას უნდა განეთავსებინა საზოგადოებრივი საპირფარეშოები, თუმცა ვერ შეძლო ვალდებულების შესრულება, რადგან შეექმნა გარკვეული პრობლემები, როგორც კომპანიასთან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, ასევე მოსახლეობასთან, კერძოდ, რეტერატების განთავსება საჭიროებს კანალიზაციის და წყლის მილების მიყვანას და მონტაჟს, ხოლო მოსახლეობა უკმაყოფილებას

გამოთქვამდა ლოკაციასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე აღმოფხვრილია არსებული პრობლემები, განსაზღვრულია ყველა ლოკაცია და წარმოდგენილია კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება და ვალდებულების შესრულების ვადის გადაწევა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ ლევან ხაბეიშვილი სატრანსპორტო საკითხთა კომისიიდან გადადის გარემოს დაცვის კომისიაში, ირაკლი ნადირაძე გარემოს დაცვის კომისიიდან - სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში, მიხეილ ამაშუკელი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიიდან - სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში, ხოლო ლევან ჯაფარიძე ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიიდან - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 7 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი